

1994 წლის 30 ივნისი - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 934 (1994)

უშიშროების საბჭო,

ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876, 1993 წლის 4 ნოემბრის 881, 1993 წლის 22 დეკემბრის 892 და 1994 წლის 31 იანვრის 896 და 1994 წლის 4 მარტის 901, 1994 წლის 25 მარტის 906 რეზოლუციებს,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1994 წლის 16 ივნისის (შ/725/725) მოხსენება,

ეყრდნობა რა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1994 წლის 16 ივნისის წერილს გენერალური მდივნის სახელზე (შ/1994/714),

ცნობად იღებს რა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის 1994 წლის 21 ივნისის წერილს გენერალური მდივნის სახელზე (შ/1994/732),

აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებები ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ მალე განახლდება, და დაბეჯითებით მოუწოდებს რა მხარეებს მიაღწიონ არსებით პროგრესს პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც გადმოცემულია მის წინა რეზოლუციებში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1994 წლის 16 ივნისის მოხსენებას.

2. კმაყოფილებით აღნიშნავს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მიერ კონფლიქტის ზონაში დახმარების გაწევას მხარეთა თხოვნის საპასუხოდ, 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა (შ/1994/583) და ძალთა დაშორების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან უწყვეტი კოორდინაციით და გაეროს მეთვალყურეთა ამ მისიასთან კოორდინაციის ორგანიზების შემდგომ ღონისძიებათა საფუძველზე, რომლებიც შეთანხმებული იქნება საბჭოს მიერ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის გაფართოებასთან დაკავშირებით გენერალური მდივნის რეკომენდაციების განხილვის დროისათვის.

3. ადგენს გააგრძელოს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ახლანდელი მანდატი მისი ამჟამინდელი დამტკიცებული რიცხობრივი შემადგენლობით 1994 წლის ივლისამდე პერიოდით, რომლის განმავლობაში განიხილება საკითხი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის შემდგომი გაფართოების შესახებ, როგორც ეს რეკომენდებულია გენერალური მდივნის 1994 წლის 6 ივნისის მოხსენებაში (შ/1994/529 ადდ 1).

4. სთხოვს გენერალურ მდივანს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1994 წლის 16 ივნისის წერილის (შ/1994/714) შუქზე წარუდგინოს საბჭოს მოხსენება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის, მხარეთა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების იმ მოლაპარაკებათა შესახებ, რომელიც მიმართულია საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა გაფართოებულ მისიასა და დსთ-ს სამშვიდობო ძალებს შორის ადგილზე კოორდინაციის ორგანიზების შესახებ შეთანხმების მისღწევად.

5. ადასტურებს თავის მზადყოფნას განიხილოს დეტალური რეკომენდაციები საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის გაფართოების შესახებ გენერალური მდივნის 1994 წლის 6 ივნისის მოხსენების მე-7 პუნქტში გადმოცემული იდეების შუქზე.

6. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.